572
1981

ISSN 0132-3965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1981 მარტი №3

დილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყრილობიდან დაბრუნდნენ

მარტია. მთელი მსოფლიოს ქალების დღესასწაულის თვე. და „დილამ“ გადაწყვიტა საგანგებოდ მიეულოცოს 8 მარტი სხვებთან ერთად იმ ქალებს, ვინც თებერვალში მონაწილეობა მიიღო კომუნისტთა 26-ე ყრილობის მუშაობაში. ახლა ისინი უკვე შინ არიან და გაასკეცებული ძალით შრომობენ, რომ შეასრულონ ხალხის საკეთილდღეოდ განზრახული ათასი რამ. ყველა თავის საქმეს აკეთებს და ყოველი საქმე ძალ-ღონესა და სიმდიდრეს ჰმატებს ქვეყანას, ხალხს, ბავშვებსაც!

გვინდა მივულოცოთ ჩვენს სახელოვან ქალებს და მათი საპასუხო სიტყვაც გავიგონოთ, მაგრამ როგორ? მფრინავი ხალიჩა ჩვენ არა გვაქვს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ასე თვალის დახამხამებაში გადაგვაფრინოს, და ყურმახვილა ჩვენ არა გვყავს, მიწას ყური დაადოს და დელეგატების ნათქვამი გადმოგვცეს.

საგონებელში ჩავარდნილებს გამოსავალი თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის თანამშრომელმა ჟუჟუნა ზაქარიაშვილმა გვიკარნახა—მე აქ არა ვარ! ყრილობაზე ყველას დავუმეგობრდი, ყველას ტელეფონის ნომერი ვიცი, ავდგები და ჩამოვურეკავო.

და ჩვენც ასე მოვიქეცით!

მარგო გერსამია—ენგურის ცელულოზა—ქაღალდის კომბინატის მკინძავი:

ყრილობამ დიდი საქმეები დაგვავალა. მე მინდა ხალხს, პირველ რიგში კი თქვენ, ბავშვებო, რაც შეიძლება პრიალა და ხასხასა სასკოლო და საერთო რვეულები, ბლოკნოტები, საქაღალდეები დაგიმზადოთ, რომ უფრო ლამაზად წეროთ...



ნაზიბროლა ხასაია—გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი:

ჩაის საკრეფად ახლა უფრო და უფრო ხშირად იყენებენ მანქანა „საქართველოს“. მე ვამაყობ, რომ ამ მანქანით მომუშავეებს შორის პირველი ქალი ვარ. სხვებსაც ვასწავლი, ისინი—კიდევ სხვებს, რომ მალე ჩაის კრეფა სულ გაადვილდეს და თქვენ რომ დაიზრდებით, ჩაის ხელით კრეფა აღარ დაგჭირდეთ.

ნათელა ბუთხუზი—კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი:

ჩემი ტრაქტორი ხნავს, თესავს, წამლავს, აფხვიერებს... და მიწა ნაყოფს იძლევა. შეგერგოთ ქართული მიწის ნაყოფი...

მაყვალა ლათიბაშვილი—წითელწყაროს რაიონის გამარჯვების კოლმეურნეობის მევენახე:

ხომ გიყვართ ყურძენი? თუმცა რას გეკითხებით! გიყვართ! და მეც ვეცდები, მეტი ყურძენი მოვიყვანო ქვეყნისთვის, თქვენთვის! შაქრად!

ლალი სურგულაძე—თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მუშადამფასებელი:

ავად ნუ გახდებით, მაგრამ თუ გახდით, ისეთ წამლებს გამოგიგზავნით, რომ წამში წამოფრინდეთ ლოგინიდან.

ნინა პანკოვა—თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“ მუშა:

რომ არ გაცივდეთ, თბილი და ლამაზი კოლგოტკები უნდა შეგიკეროთ, თანაც უფრო მეტი და უფრო კარგი ხარისხისა, ვიდრე აქამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16764

იყო და არა იყო რა... თუმცა, არა! პატარა შესავლის გარეშე ეს ამბავი დღეს ბევრისათვის სრულიად გაუგებარი დარჩება. მაშ, ასე.

შესავალი

როგორც სათაურიდან ჩანს, მკითხველს ვინმე ჭინკა ჭიჭის ოინებთან ექნება საქმე.

ვისლა სწამს ჭინკები ამ განათლებული საუკუნის მიწურულშიო, იფიქრებს ზოგიერთი. იფიქრებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, შეცდება.

დამერწმუნეთ: ჭინკები არიან. საიდან ვიცი? საიდან და, ბავშვობაში ერთი მათგანი საკუთარი თვალით მინახავს. დიახ!

მართალია, იმ დროს ფილტვების ანთებით ვიყავი ავად და სიცხიანი ვიწექი ლოგინში, მაგრამ მერე რა! ძილის წინ ლოგინში ჯანმრთელი ადამიანიც შეიძლება იწვეს, და თუკი მოთმინება ეყოფა, თუ ძილს მოერევა და ოთახის ყველაზე ჩაბნელებულ კუნჭულს დიდხანს-დიდხანს ყურადღებით დააკვირვირდება, უეჭველად დაინახავს იქ სულ ცოტა ერთ ჭინკას მაინც.

სხვათა შორის, აქ საშიში არაფერია. წარსულში ჭინკებს ბოროტი ძალების მოციქულებად თვლიდნენ და, ცხადია, უფრთხოდნენ. ბრძენ ხალხს კი უთქვამს: სადაც ბოროტება ბუდობს, არ შეიძლება იქვე ახლოს სიკეთეც არ სუფევდესო. ასე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ კეთილი ჭინკების არსებობაც, არამცთუ დასაშვები, არამედ სრულიად მოსალოდნელია.

დავით ჯავახიშვილი

ჭინკა ჭიჭის ოინები

ჩემი ჭინკაც, პატარა ჭიჭი, სწორედ ასეთი გახლდათ: კეთილი, მხიარული, სიცოცხლისა და სიყვარულის ხალისით სავსე. ამით მიიქცია მან ჩემი ყურადღება და ამიტომაც იქცა ამ ამბის გმირად.

ვატყობ, შესავალი ერთობ გაგვიგრძელდა. დროა უკვე ამბავს მივხედოთ. მაშ ასე.

ამბავი

ჭინკა ჭიჭი, როგორც ჩანს, ჩვენი ძველებური, დიდი ხნის დაუნთებელი ბუხრის მთლად გამჭვარტლულ მილში ცხოვრობდა. იქიდან გამომძვრალი გამომეცხადა ერთ მშვენიერ საღამოს, როცა მე, სიცხიანს, თვალწინ ყვითელი რგოლების უთავბოლო კორიანტელი მიტრიალებდა.

ზომით სულ ერთი მტკაველა იყო, მაგრამ გამოძვრა თუ არა, საკვირველი ოინი ჩაიდინა: ცირკის ჯამბაზივით დაერია ჩემს ყვითელ რგოლებს, ჯერ ყველა ცალ ხელში მოიგროვა, მერე სათითაოდ მაღლა აჰყარა და ერთხანს გაწვრთნილი ცხენებივით წრეზე არბენინა, მერე ლამაზ რვიანებად დაალაგა და ახლა ასე ატრიალა, ბოლოს კი კვლავ უწესრიგოდ მიმოფანტა ჰაერში და თავი მიანება. მაშინღა დავაკვირდი მას და ერთი ფრიად საყურადღებო რამ შევნიშნე.

ჭინკა ჭიჭი რომ თავიდან ფეხებამდე შა-

ვი იქნებოდა, ეს მოულოდნელი არ ყოფილა ჩემთვის, რადგან გამჭვარტლული საკვამლე მილიდან დაუთხუპნავად თვით ანგელოზიც ვერ გამოაღწევდა.

ჭინკა ჭიჭი რომ მეეზოვის გაცვეთილი ცოცხივით თმაგაფშეკილი და თან თვალებდაჭყეტილიც იქნებოდა, ამასაც მოველოდი! აბა, რომელი ნამდვილი და თავმოყვარე ჭინკა იზრუნებდა თმის დავარცხნაზე და თვალების სილამაზეზე?!

საყურადღებო სულ სხვა რამ იყო. როგორც კი რგოლებით თამაშს თავი მიანება, ჭიჭიმ ამაყად შემომხედა და გამიღიმა. გამიღიმა და... კინაღამ დამაბრმავა. არც იქამდე, არც მას შემდეგ ასეთი ღიმილი მე არ მინახავს. არ ვიცი რას შევდარო მისი ჩაწიკწიკებული კბილების თვალისმომჭრელი გაელვება ან ეშმაკურად დაჭყეტილ თვალებში დაკვესებული ნაპერწკლების სიკეთე და მხიარულება, ანდა მისი სასაცილოდ აპრეხილი წვეტიანი ცხვირი, რომელიც ამ არნახულ, ამ დამაბრმავებელ ღიმილში მთელი მონდომებითა და დიდი ნარმატებით მონაწილეობდა!

მეც ავიღებ და არაფერსაც არ შევადარებ! ხომ არის ასეთი სიტყვა: შეუდარებელი? ჰოდა, აი, არამარტო ჭიჭის ღიმილი, თვითონ ჭიჭი შეუდარებელი იყო.

მე დამავიწყდა მეთქვა მთავარი, რასაც ბოლოს და ბოლოს ალბათ ყველა მიხვდებოდა — ჭიჭი გოგო იყო. ტანზე გამჭვარტლული აბლაბუდისაგან ოსტატურად ნაქსოვი მოკლე და ჰაეროვანი კაბა ეცვა, ფეხზე — ქალის მაღალ და წვრილქუსლიანი კოხტა ფეხსაცმელი. ფეხსაცმლის წვეტიან ცხვირებზე თითო პატარა ღუღუნა მუგუზალი დაეკერებინა, ალბათ საკვამლე მილის წყვდიადში გზის გასანათებლად. თუმცა მისი ელვარე ღიმილის პატრონს ეს არც სჭირდებოდა. ბაშ გამოდის, რომ მუგუზლებს მხოლოდ სამკაულად იყენებდა, რაც კიდევ ერთხელ უტყუარად ადასტურებდა მის ქალობას.

— რა გქვია, პრანჭიავ? — შევეკითხე ღიმილით და იდაყვზე წამოვიწიე.

— ჭი-ჭი! — მხიარულად დაიჭიჭინა მან და მაგიდაზე შეხტა.

ასე შემატყობინა თავისი სახელი; ისიც მითხრა, რომ ობობასი არ იყოს, ქსოვა ყვარებოდა და კაბაც თურმე საკუთარი მოქსოვილი ეცვა. ქსოვისას ჩვეულებრივი ჩხირების ნაცვლად, თურმე საგანგებოდ გაზრდილ წვეტიან ფრჩხილებს ხმარობდა, კაბის ქვეშ კი ზამბარასავით დახვეულ გრძელ კუდს მალავდა...

...მაგრამ ჭიჭის მალე მობეზრდა ლაყბობა, შურდულივით მოწყდა ადგილიდან და საქმეს მიჰყო ხელი (საქმეს ის ეძახდა, თორემ ჩვენებურად ამას ოინები ჰქვია): ჯერ იყო და დიდ, ძველებურ კედლის საათს ეცა, მის ოქროსფერ ქანქარას თავდაყირა ჩამოეკიდა და გაქან-გამოქანდა. თან ისეთ ხმაზე ხითხითებდა, იფიქრებდით, ბუხრის მილში შემოჭრილი ქარი უსტვენსო. თვალებიდან კეთილ და მხიარულ ნაპერწკლებს აფრქვევდა, ფეხსაცმლის ცხვირებზე დაკერებული მუგუზლები კი სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა, ცოტაც და, ალბათ სახანძრო რაზმის გამოძახების დრო დადგებოდა... ათმაგი სისწრაფით დატრიალდნენ საათის ისრები და მალე ორივენი 12-თან შეერთდნენ. ერთბაშად ჩამობნელდა, დადგა შუაღამე და საათიც თავის ჩვეულ, სასიამოვნო ხმაზე შეუდგა რეკვას... ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი! — დავითვალე; დამთავრდა-მეთქი, ვიფიქრე და ამოსუნთქვა დავაპირე, მაგრამ ნურას უკაცრავად! ცამეტი, თოთხ-

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძეგი, თხუთმეტი, თექვსმეტი... საათი რეკვას განაგრძობდა და რაკი სამოცს გადააცილა, თვლაც ამერია. ჭიჭი ქანაობდა და ქანაობდა. ბოლოს და ბოლოს, ესეც მობეზრდა, ერთხელაც გაქან-გამოქანდა, მერე მწიფე შვინდივით მოწყდა ქანქარას, ჰაერშივე დაპატარავდა და ტახტზე მშვიდად მძინარე ჩემს უფროს ძმას ნესტოში შეუხტა.

აი თურმე რაში ყოფილა საქმე! ექიმები კი ჩემი ძმის უბოლოო ცხვირის ცემინებას რაღაც ახლადგამოგონილ სენს — ალერგიას აბრალებდნენ. ერთი და ორი, ერთი და ორი, ერთი და ორი, — ახლაც აცემინა და აცემინა, მაგრამ კედლის საათივით აღარ გაუგრძელებია, მალე გაჩერდა და ძილი განაგრძო.

ჭიჭის კი თვალიც ველარ მოვკარი. ამ დროს თაგვების საჭერად იატაკზე დაგებულმა ხაფანგმა დაიტკაცუნა. შევშინდი, ჭიჭი ხომ არ მოყვა-მეთქი, წამოვიწიე და გავხედე, მაგრამ არა. ხაფანგი ცარიელი იყო. შორიახლოს კი ჭიჭი ცქმუტავდა და ახლადმოხალულ სურნელოვან ნიგოზს მადიანად შეექცეოდა. მაშ არც ხაფანგი ყოფილა მთლად უვარგისი, როგორც ჩვენ გვეგონა.

— ჭიჭი! — დავუქნიე თითი, — რატომ ცელქობ?!

— აი შენ! — კოპები შეიკრა ჭიჭიმ და თავისი პატარა, სასაცილო მუშტი მომიღერა.

მართალი გითხრათ, შემეშინდა: რაც არ უნდა იყოს, მაინც ჭინკასთან მქონდა საქმე.

მაგრამ მაშინვე ჭიჭის თვალებში კეთილმა ნაპერწკლებმა იელვა და მისმა ღიმილმა გაანათა ბნელი ოთახი.

რა ვიცოდი, მუქარაც თუ მხოლოდ ოინი ყოფილა და, ვიდრე შიში გადამივლიდა, კარგად შემახურა, თავბრუც კი დამეხვა და თვალწინ კვლავ ყვითელი რგოლების უთავბოლო კორიანტელი დამიტრიალდა.

ამის დანახვაზე ჭიჭიმ სწრაფად გადასანსლა ნიგვზის ნარჩენები, ხელები კალთაზე საქმიანად გაიბერტყა და კიდევ ერთხელ დაერია ჩემს ყვითელ რგოლებს — ჯერ ცალ ხელში მოიგროვა, მერე მეორეში გადაიტანა, მერე მაღლა ასწია, სული შეუბერა და... უკვალოდ გააქრო. გააქრო და... თვითონაც გაქრა. ვერც დავინახე, როდის შეძვრა ბუხრის საკვამურში. უმალ ვიგრძენი, რომ შუბლი გამიგრილდა, თვალმა დაისვენა, გულზეც მომეშვა... და, ასე გასინჯეთ, ლოგინში წამოჯდომაც კი მოვახერხე.

იმ ღამეს მოვრჩი და ავად არასოდეს აღარ გავმხდარვარ. ჩემი უფროსი ძმაც ცხვირის უბოლოო ცემინებას, ექიმების გასაოცრად, ერთხელ და სამუდამოდ გადაეჩვია. ჩვენს ხაფანგს კი იმ დღიდან მოყოლებული ტყუილუბრალოდ ერთხელაც არ დაუტკაცუნია.

ეს იყო და ეს.

მას შემდეგ ჭიჭი მხოლოდ ერთხელ ვნახე და ისიც სიზმარში. ისევ ძველებურად გამოპრანჭული, თმაგაფშეკილი და თვალებდაჭყეტილი გამომეცხადა, ჯერ ვითომ გაჯავრებულმა კოპები შეიკრა და თავისი პატარა, სასაცილო მუშტი მომიღერა, მერე თვალისმომჭრელად გამიღიმა, ბროწეულის ყვავილისფერი ენა გამომიყო და გაქრა...

შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს ნახვად არ ითვლება. სამწუხაროდ, ვერ შეგედავებით, მაგრამ ერთი რამ კი მაინც უნდა გითხრათ: იმ სიზმარმა საბოლოოდ დამარწმუნა ერთ უბრალო ჭეშმარიტებაში: შესაძლოა ვინმე გარეგნულად ჭინკასა ჰგავდეს, მკერდში კი ანგელოზის გული უძგერდეს.

ცუდია, როცა პირიქით ხდება. და ვაი, რომ ხდება.

ფრხილად იყავით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ მიიღებ ორიანს



ორიანი ცუდია, —
ერთიანის კუდი აქვს,
თავზე ქუდად ნული აქვს...
ნუ მიიღებ ორიანს,
რადგან ქუდად ნული აქვს,
რადგან ერთის კუდი აქვს,
ორიანი ცუდია!

სამიანი ჰა და ჰა, —
თუ მიიღებ ხანდახან,
წვალებით და ჯახირით
შემდეგ კლასში გადახვალ.
ოთხიანი კარგია,
რა თქმა უნდა, კარგია,
ოთხოსანზე ამბობენ:
— ნიჭიერი ბალღია,
ცოტას თუ მოუმატებს,
ხუთს მიიღებს ძარღვიანს.

გიორგი წერეთელი

ოთხი თუკი კარგია,
ხუთი ხომ მთლად კარგია,
ვინაც ხუთოსანია
დრო არ დაუკარგია,
ყველა გზაზე ხუთოსანს
მწვანე შუქი უნთია —
მისი ცოდნის ნიშანი
თუ კი ნალდი ხუთია...

ნული არაფერია,
ორს სახელი ცუდი აქვს,
ერთიანის კუდი აქვს,
ნულიანის ქუდი აქვს,
სამიანი ქედს უხრის
ოთხიანს და ხუთიანს.
ხუთსა ჰქვია ფრიადიც,
ჰა, მიიღე, ფრიადი,
შემდეგ კლასში ხუთების
ფრენით გადაფრიალდი!

მშენებლებთან

თამარ კაპიაშვილი

ის აგური იქით დადეს,
ეს აგური — აქეთ,
ციბრუტივით ტრიალებდა,
ჟირაფს გავდა ამწე.
გადახედა ალესკუპამ,
გაირინდა წუთით,
დაავიწყდა საქანელაც,
დაავიწყდა ბურთიც.
გრიალებდნენ მანქანები,
აგურს ცლიდა ერთი,
ალეკო კი მძღოლმა შიამ
დაისკუპა გვერდით.
ჩუმად უსმენს კეთილ ძიას.
ოცნებობს და ხვნეშის: —
რა იქნება წუთით მაინც
საჭე მომცეს ხელში?!

მხატვარი ნანა სულემენაშვილი



ნავთობი

ნავთობის არსებობა ადამიანმა უხსოვარი დროიდან იცოდა. ზოგჯერ ჭის ამოჭრისას მიწიდან წყლის ნაცვლად შავი, ზეთოვანი სითხე ამოდიოდა. ამ სითხეს მძაფრი სუნი ასდიოდა, მაგრამ სამაგიეროდ ძვირფასი თვისებაც ჰქონდა— შესანიშნავად იწვოდა. ნავთობით გაჟღენთილ ისრებს ცეცხლს უკიდებდნენ და მტერს ესროდნენ; ნავთობს უსვამდნენ ურმის ღერძს, რომ არ ეჭრიალა; ნავთობით ანთებდნენ ჭრაქს... მაგრამ ვიდრე შიდაწვის ძრავა არ გამოიგონეს, ნავთობზე არც თუ ისე დიდი მოთხოვნილება იყო.

სულ სხვაა ახლა.

ნავთობი სჭირდება ავტომობილებსა და თვითმფრინავებს, გემებსა და თბომავლებს, ტრაქტორებსა და კომბაინებს, ელექტროსადგურებსა და ქარხნებს—მათი ძრავები და ღუმელები ბენზინზე, ნავთზე, მაზუთზე და ნავთობიდან მიღებულ სხვა საწვავზე მუშაობს.

ნავთობი სჭირდება მექანიზმებსა და მანქანებს მათი მცოცავი და მბრუნავი ნაწილების გასაპოხავად. საპოხი ხომ ნავთობისაგან მზადდება.

ნავთობი სჭირდება მიმიურ ქარხნებს. მისგან იღებენ სინთეზურ კაუჩუკს, პლასტმასას, საღებავს, ფეთქებად ნივთიერებებს, მცენარეთა ზრდის დამაჩქარებლებს, წამლებს.

ნავთობი წიაღში უმეტეს შემთხვევაში ძალზე ღრმად არის და მის ამოსაღებად კილომეტრობით სიღრმის ჭაბურღილების გაბურღვაა საჭირო.

ნავთობთან ერთად მიწაში გაზიც არის დაგუბებული. ამიტომ როცა ჭაბურღილი გაიბურღება, ნავთობი თავისით ამოდის ზედაპირზე.

საქართველოს წინათ თავისი ნავთობი არ გააჩნდა. ახლა ქართველმა გეოლოგებმა სამგორის ველზე ნავთობის მდიდარი საბადოები აღმოაჩინეს. ვისაც კახეთისაკენ უმგზავრია, ალბათ შეამჩნევდა ჩვენი მიდამოებისათვის უჩვეულო ნავთობის მომპოვებელ კოშკურებს. ჭაბურღილები კიდევ იბურღება, რადგან ქვეყანას ბევრი ნავთობი სჭირდება.

ЗОО

ВАЖА ЭУБАУСИДЗЕ

ВИНАТОЧМА

იყო და არა იყო რა,
ზღაპარში ასე ყოფილა:
ყოფილა ის, რაც ყოფილა
და ისიც, რაც არ
ყოფილა.
ცხოველები სარვამარტოდ
თავს იყრიან თურმე
მუდამ,
ყველა რაღაც კეთილს
ნატრობს,
ყველას რაღაც კარგი
უნდა:

რას ნატრობს

ГОЧИС НАТВРА

დინგს ხმარობს ისე
ღონივრად —
ღრუტუნებს ღორი
ჰგონიათ,
მაგრამ ჯერ კიდევ ნორჩია,
მაშასადამე, გოჭია;
გოჭია და
სარვამარტოდ
თბილი ლაფის
ნახვას ნატრობს,
რომ გაითბოს ტანი
გორვით,
ჩასკვნილ-
ჩაპუტკუნებულმა
და გაათბოს დედა ღორიც,
გულში ჩახუტუნებულმა.

ЧЕЛИС НАТВРА

დათვის ბელი
ბურდღუნობს
და ბურდღუნით
ნატრობს —
თაფლით სავსე ფუღურო
ნახოს სარვამარტოდ,
რომ ჯერ ყელი ჩაუტკბოს,
შემდეგ — ურჩზე ურჩი,
გადაკოცნოს დაიკო,
დათაფლული დრუნჩით.

КНУТИС НАТВРА

კნუტმა იცის — ბებიას
სულ უბილო ყბები აქვს,
უკბილოდ კი წრუნუნებს,
კალმახებს და ხრამულებს
ველარ შეაკნაწუნებს,
ველარ შეახრამუნებს.
და ნატრობს, რომ კბილები,
მოსაცვლელი რაც არი,
ერთიანად დააძრონ,
როგორც ტაროს —
მარცვალი,
ოღონდ ბებოს ჩაუსვან
მისი გამონაცვალი.

БАГИИС НАТВРА

ბაჭიამ თქვა: — ხვალიდან
დავუჯერებ მამიდას,
თუ ისურვებს — რაცა
მსურს,
თუ ინდომებს — რაც
მინდა;
ერთმანეთის გულებში
ნეტა ჩაგვახედაო, —
უკეთ გავუგებდი და
უკეთ გამიგებდაო.

ЛЕКВИС НАТВРА

ლეკვი ნატრობს,
სარვამარტოდ,
განა ციცქნა, განა ციდა,
ზეცას მთვარე
მიახატოს, —
ისე დიდი, ისე წმინდა,
რომ ღამითაც, სახლის
არ დასჭირდეს ძაღლი
პატრონს,
და ეძინოს უზრუნველად
პებერ ნაგაზს —
უღალატოს.

ГОЛОТЧМА

აქ გასრულდა
ზღაპარლექსი
და ძალიან უნდა
ავტორს —
ყველა თქვენგანს უკეთესი
ნატვრა ჰქონდეს
სარვამარტო.

ქეთინო, ანა გამოიცანი

ნოდარ დუმბაძე

გამოცანა:
მტერია სიბნელის,
მტერია წყვდიადის,
ყველაზე ლამაზი,
ყველაზე თბილი,
დიადი,
ზვიადი,
ნაზი და კეთილი,
ყოველღამ ჩადის და
ამოდის დილით.

პასუხი:
ყველაზე ლამაზი,
ყველაზე კეთილი,
ზვიადი.
რა არის ნეტავ?
შენ თუ მზე გგონია,
არა ხარ მართალი,
ეს გახლავს ჩემი და
მანანას დედა.

გამოცანა:
ყველაზე ძლიერი,
ყველაზე მამაცი.
ლამაზი ფაფარით,
ძლიერი ტორით.

მოფრენილან, მოფრენილან...

კ. გოგიაშვილი

გაზაფხული შემობრძანდა,
ტყის მგოსნებიც აქ არიან:
გულით შეხვდა ჩხიკვი მათ,
შავი შაშვი ბაქარია.
მოფრენილან, მოფრინავენ
მერცხლები თუ ბულბულები,
კვლავ მოძებნეს მშობლიური
ბუდეები, ბუდეები.
ტყეში ერთად შეიკრიბნენ
წითელგულა, ჭრელ-ჭრულები,
ჭია-ღუის ძველი მტრები,
ტყის მცველები, ერთგულები.
მოფრენილან, მოფრენილან,
დაუბრუნდნენ მშობელ მხარეს.
უხარიათ დაბრუნება,
ჩვენც ყველანი გაგვახარეს!

ლაშა არის ფეხბურთელი

ლია ასათიანი

შეგროვილან მეზობლები,
ისმის ვაშა, ისმის ტაში.
ლაშა არის თავდამსხმელი
ბაბუა კი ლელავს კარში.
ლაშასთანა ფეხბურთელი
გინახიათ, სადმე, განა?
— მომეშველეთ! — ყვირის ბაბუ,
— ათი გოლი გამიტანა!

პაპა ბესია

მარიკა თანიაშვილი

რა მშრომელი გლეხკაცია
ჩვენი პაპა ბესია,
კიტრი, გოგრა, საზამთრო
ბლომად დაუთესია.
თამუნია ჭირვეულობს:
— მარწყვი უკეთესია!
— ყველას თავის ადგილი
გოგრაა თუ ნესვია...

ქოჩორა

თეიმურაზ სუმბათაშვილი

ერთი ქოჩორა ვარია
ანუკას მეგობარია,
სადაც ანუკა ეგულვის,
იქითკენ მიუხარია,
სახლში ფანჯრიდან შემოვა,
თუ მიუხურე კარია.

ორი კატა მიდის გზაზე

ჰელენა ბეხლეროვა

ორი კატა მიდის გზაზე,
კალათები უდევთ მხარზე.
იქვე, მინდვრად, სახლთან ახლოს,
ჭრელი ძროხა დაბალახობს.
— ძროხავ, ვიცით დარწმუნებით, —
შეეხვეწნენ კატუნები,
— რძე გაქვს ტკბილი, ძალზე ტკბილი.
და კალათა ერთი წყვილი
რძით შეგვივსე, დაო, სრულად,
ორ გროშს მოგცემთ საფასურად.
ძროხამ ყურიც არ ათხოვა,
გააგრძელა მშვიდად ძოვა.
ცხენს კი, ღობის იქით დაბმულს,
სიცილისგან ესხმის თავბრუ.

პოლონურიდან თარგმნა **ჯემალ ჯელიძე**

მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯული, მწყემსი და ვაჭარი

ალმოსავლური ზღაპარი

ერთხელ მსაჯულთან ვაჭარი კაცი მივიდა, მწყემსი მიიყვანა კინწისკვრით და წინ დაუყენა.

— ბრძენო მსაჯულო! მიხსენი ამ კაცისაგანო. ..

— რა მოხდა, რას შეუწუხებიხარო? — შეეკითხა მსაჯული.

— ცხვარი მოგყიდე და ფულს ალარ იძლევიო, — მომიგონა. თუ კაცი ხარ, ჩამომაცილე ეს ვილაც ოხერი მწყემსი.

— ცრუობს, ბატონო მსაჯულო, ულმერთოდ ცრუობს. მთაში ამოვიდა, ვივაჭრეთ, მოვრიგდით და ცხვარი წაიყვანა. რა მეგონა, ვაჭარი კაცი თუ ასეთი თალლითი იქნებოდა.

ვაჭარი კი თავში ხელებს იცემდა და გაიძახოდა:

— ვიცნობ, მიცნობს?! ალბათ დაესიზმრა. რისი ცხვარი, რა ცხვარი? მე თვალით არაფერი მინახავსო.

დიდხანს უსმინა მსაჯულმა ამ აყალმაყალს. ბოლოს მწყემსს მიმართა:

— მოწმე თუ გყავს ვინმე? დაგიდასტურებენ, რომ ცხვარი მიჰყიდეო?

— აბა მოწმე საიდან უნდა მყავდეს. შენი ჭირიმე, — გაიოცა მწყემსმა. — შორს, მთაში, ერთ დიდ ლოდზე ჩამომსხდარნი მოვრიგდით.

— რა გაეწყობა, სულ არაობას ქვაც სჯობს. ჩამომიტანე ის ლოდი და საჩივარს შენს საარგებლოდ გადავწყვეტო, — მშვიდად უთხრა მსაჯულმა.

ვაჭარი სიცილით ჩაბჟირდა.

— ხა-ხა-ხა! ჩვენ რომ ლოდზე ვისხედით, იმას ცხრა ულელი კამეჩი ვერ ჩამოიტანს აქ!..

ეს რომ გაიგონა, მსაჯული წამოდგა და მკაცრად მიმართა ვაჭარს:

— ახლა კი მივხვდი, ვინ ყოფილა თქვენში მტყუანი და ვინ მართალი. ახლავე გადაუხადე ამ საწყალს ცხვრის საფასური, თორემ დილეგში ჩაგაგდებო.

დაიზაფრა ვაჭარი კაცი. რას იზამდა! აიღო და მწყემსს იქვე ჩაუყარა ცხვრის საფასური.

ბრძენ მსაჯულს კი კიდევ უფრო გაუკვირდა სახელი-

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16764

გულუბრყვილო და ვერაგი

ორი ამხანაგი იყო, ერთი გულუბრყვილო, მეორე—ვერაგი. ერთხელ გზაში გუდა ვერცხლი იპოვნეს.

გულუბრყვილომ თქვა:

— გავიყოთ, რას ვუცდითო.

ვერაგმა ურჩია:

— გაყოფა რად გვინდა, სადმე შევინახოთ და როგორც დაგვჭირდება, ისე ვხარჯოთო.

ვერცხლი ერთი ხის ძირას დაფლეს და მიბრუნდნენ. იმ ღამეს ვერაგმა ამხანაგმა ის ვერცხლი ამოთხარა და შინ წაიღო. ცოტა ხანში გულუბრყვილოს ფული დასჭირდა, ამხანაგთან მივიდა და უთხრა:

— ფული დამჭირდა, წავიდეთ, ცოტა მოვაკლოთ და დავხარჯოთო.

წავიდნენ, მიწა მოთხარეს, მაგრამ რაც არ იყო, რა დახვდებოდათ.

ვერაგმა გულუბრყვილოს საყელოში ჩაავლო ხელი, ვერცხლი შენ მომპარეო! გულუბრყვილომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ღმერთი, რჯული, არ მომიპარავსო.

— მაშინ სასამართლომ გაგვასწოროსო! — აყვირდა ვერაგი.

— კარგიო!—დათანხმდა გულუბრყვილო.

მოსამართლემ მოწმე მოითხოვა. ვერაგმა უპასუხა:

— ამ ხის გარდა სხვა მოწმე არა გვყავს და იმედია, ხე სიმართლეს იტყვისო.

მოსამართლეს გაუკვირდა, ხემ რა უნდა თქვასო! მაინც გადაწყვიტა ხესთან მისულიყო და ჩვენება ჩამოერთმია.

ვერაგი ამხანაგი მამას შეუჩნდა, უნდა დამეხმარო, თორემ დავიღუპებიო. იმ ხეს ფუღურო აქვს, შიგ შეძვერი და როცა მოსამართლე გკითხავს, ფული ვინ მოიპარაო, უპასუხე: გულუბრყვილომ-თქო.

ბერიკაცმა შვილის თხოვნა შოროს დაიჭირა. მაგრამ ბოლოს მაინც შეძვრა ხის ფუღუროში.

მეორე დღეს ხესთან სასამართლო გაიმართა. მოსამართლემ ხეს ჰკითხა:

— ვერცხლი ვინ მოიპარაო?

უცებ ხე ალაპარაკდა:

— გულუბრყვილომო!

მოსამართლე გონიერი კაცი იყო და ეჭვი შეეპარა, აქ უთუოდ რაღაც ამბავიაო. სასწრაფოდ შეშა მოატანინა და იმ ხეს ცეცხლი შეუნთო. ბერიკაცმა ერთხანს ითმინა, მაგრამ ცეცხლმა რომ მოუჭირა, ღრიალი მორთო. გამოათრიეს საცოდავი, მაგრამ უკვე გვიანი იყო, დამწვარიყო.

ასე დაუბრუნდა ვერაგ კაცს უკან თავისი სივერაგე.

კენგურუ

კენგურუ ჩანთოსანი ცხოველია. მისი სამშობლოა ავსტრალია. აქ, ნაზით გადამწვარ სტეპებში ფერმერები რა ლონეს არ ხმაროებენ, რომ ნათესები კენგურუსაგან გადაარჩინონ. უზარმაზარ სათიბებს, საძოვრებს ეკალმავთულსაც კი ავლებენ.

დედა კენგურუს მუცელზე მოთავსებულ ჩანთაში პატარა კენგურუ უზის.

დედა კენგურუ მიწაზე კუდით ეყრდნობა და უკანა ფეხების მეშვეობით დახტის, პაწია კენგურუ კი ზის თავ ისთვის ჩანთაში და იჭყიტება.

ავსტრალიაში სხვა ცხოველებიც არიან ჩანთოსნები.

ავსტრალიის კუნძულ ტასმანიაზე, მაგალითად, ბუდობს ჩანთოსანი მგელი.

ავსტრალიაში ევკალიპტების ტყეებში ბინადრობს ჩანთოსანი დათვი—კოალა. კოალა თითქმის არ ჩამოდის ხეებიდან. ხიდან ხეზე გადადის და ფოთლებით იკვებება—სულ არა ჰგავს ჩვენებურ დათვს, რომელიც გარეულ ტახს და ირემსაც კი ესხმის ხოლმე თავს.

საინტერესოა კენგურუს სახელის ისტორია. როცა ევროპელები პირველად მიადგნენ ავსტრალიის სანაპიროს და ეს უცნაური ჩანთოსანი ცხოველი დაინახეს, იქაურ მკვიდრთ ჰკითხეს, ეს რა ცხოველიაო. ავსტრალიელებმა ვერ გაიგეს მათთვის უცხო ენაზე დასმული კითხვა და პასუხად მიუგეს: «კენ გუ რუ!» რაც მათებურად ნიშნავდა: «არ გვესმის, რას გვეუბნებითო». ევროპელებმა კი ეს სიტყვები ცხოველის სახელად ჩათვალეს.

ასე შემორჩა კენგურუს ეს სახელი.

დელფინი

ძველი ბერძენი მწერლები დელფინებს წმინდა ცხოველებად თვლიდნენ და მათს გონებას ადამიანისას ადარებდნენ. ბევრს არა სჯეროდა დელფინების ასეთი გონიერება, მაგრამ როცა ადამიანმა დელფინების შესწავლა დაიწყო, დარწმუნდა, რომ ეს მართალი იყო. თურმე დელფინები ერთმანეთთან თავიანთ ენაზე საუბრობენ. მათ მეტად ერთგული მეგობრობა იციან—არასოდეს მიატოვებენ დაჭრილ ან ავადმყოფ თანამოძმეს, ერთობლივად ებრძვიან ზვიგენებს.

სახიფათო ადგილებში დელფინები გემებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინ მიუძღვიან და რიფებს შორის გზას უჩვენებენ. ერთხელ ასეთ დელფინს რომელიღაც მგზავრმა თოფი ესროლა და დაჭრა. ამის შემდეგ დელფინი—ლოცმანი იმ არემარეს აღარ გაჰკარებია. მეზღვაურებმა მას ნაპირზე ძეგლი დაუდგეს.

დელფინს უყვარს ადამიანი. ახლა ადამიანიც ასეთივე სიყვარულით უხდის მას »სამაგიეროს. დელფინებზე ნადირობა აკრძალულია.

თუ ბათუმში მოგიხდათ ყოფნა, უეჭველად მიაშურეთ დელფინარიუმს. იქ შეგიძლიათ ნახოთ ამ ჭკვიანი ცხოველების მრავალი გონივრული ოინი.

სირაქლემა

სირაქლემა აფრიკის ტრამალის—სავანის ბინადარია. არაფერი სჯობია იმის ცქერას, სირაქლემა რომ თეთრყირმიზ ფრთებს გაშლის და დიდ-დიდი ნაბიჯებით გარბის სავანებში. სირბილი გაგიხარიათ, იმან იცის, ბედაური ცხენიც ვერ დაეწევა.

სირაქლემას ფერმებშიაც აშენებენ. მას გემრიელი ხორცი აქვს და იმოდენა კვერცხი, რომ მისგან შემწვარი ერბოკვერცხი მთელ ოჯახს ეყოფა. სირაქლემის კვერცხის ნაჭუჭისაგან კი წყლის ქურჭელს აკეთებენ.

სირაქლემას მეტად მძლავრი ფეხები აქვს და ისეთი წიხლი იცის, ვაი იმას, ვისაც ის მოხვდება. მხოლოდ მშიერი ლომი თუ გაბედავს სირაქლემასთან შებმას.

ადამიანმა მოიშინაურა სირაქლემა და ფარის მწყემსვასაც კი ანდობს. გაწვრთნილი სირაქლემა გულმოდგინედ უვლის ფარას, უცხოს ახლოს არ მიაკარებს, საღამოობით კი თვითონ შედენის ხოლმე ფარეხში.

ᲠᲝᲑᲣᲠᲗᲐᲓᲘᲡ ᲕᲝᲔᲓᲐᲜᲘ

ᲘᲠᲑᲘᲜᲔ, ᲘᲡᲢᲣᲜᲔ, ᲘᲥᲝᲢᲠᲘᲐᲚᲔ!

ᲑᲐᲓᲠᲘᲡ ᲛᲝᲧᲣᲠᲜᲔᲚᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲬᲠᲔ ᲨᲔᲛᲝᲑᲐᲖᲔᲗ, ᲨᲘᲒ ᲩᲐᲓᲔᲥᲘᲗ, ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲐᲚᲚᲐ ᲓᲐᲒᲘᲜᲘᲗ, ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲣᲙᲐᲜ, ᲔᲡ ᲘᲡᲔ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲔᲗ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲣᲗ!

ᲛᲣᲪᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲚᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ

ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲥᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲣᲪᲔᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲨᲚᲘᲗ. ᲝᲚᲝᲜᲓᲘᲗ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ, ᲘᲡᲔ ᲢᲐᲙᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲘᲜᲘᲗ. ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝᲗ ᲓᲐᲒᲘᲜᲘᲗ ᲐᲠᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲘᲜᲘᲗ.

ᲙᲝᲢᲠᲘᲐᲚᲐ, ᲙᲝᲢᲠᲘᲐᲚᲐ

ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲥᲘᲗ, ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲮᲐᲠᲗᲔ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲖᲔᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲐᲭᲔᲗ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲐᲠᲗᲔᲗ, ᲯᲔᲠ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲔᲗ, ᲛᲔᲠᲔ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲓᲐᲙᲝᲢᲠᲘᲐᲚᲓᲘᲗ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲓᲐᲥᲐᲜᲓᲘᲗ.

ᲫᲘᲐᲧᲔᲚᲐ ᲥᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲠᲘ

ᲒᲣᲚᲐᲚᲛᲐ ᲓᲐᲜᲔᲥᲘᲗ. ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲢᲐᲜᲖᲔ ᲛᲘᲘᲙᲐᲠᲘᲗ. ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲢᲧᲣᲞᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲭᲘᲛᲔᲗ. ᲐᲮᲚᲐ ᲭᲘᲐᲧᲔᲚᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲝᲭᲓᲘᲗ ᲘᲐᲢᲐᲙᲖᲔ.



ᲚᲔᲙᲕᲘ

ᲚᲔᲙᲕᲘᲗ ᲝᲗᲮᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲥᲘᲗ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲓᲒᲛᲘᲡᲐᲡ ᲔᲪᲐᲓᲔᲗ ᲛᲣᲮᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲪᲮᲝᲠᲗᲐᲗᲐᲜ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲔᲗ. ᲐᲮᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲪᲘᲗ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲪᲔᲛᲘᲗ.

ᲛᲣᲪᲔᲚᲘ

ᲩᲐᲑᲣᲥᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲚᲐᲪᲘᲗ ᲒᲐᲮᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘᲕᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲘᲮᲢᲣᲜᲔᲗ.

ᲤᲔᲮᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲗ

ᲤᲐᲠᲓᲐᲒᲖᲔ ᲞᲘᲠᲥᲕᲔ ᲓᲐᲜᲔᲥᲘᲗ. ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲘᲨᲕᲘᲠᲔᲗ, ᲨᲔᲢᲙᲣᲞᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲗ. ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲔᲠᲓᲘ ᲛᲐᲚᲚᲐ ᲐᲡᲜᲘᲗ. ᲛᲔᲠᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲜᲧᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲘᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲚᲐ ᲐᲘᲭᲜᲘᲗ. ᲐᲡᲔ ᲛᲣᲪᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲜᲔᲚᲐ ᲡᲙᲐᲛᲘᲗᲘᲗ ᲘᲥᲐᲜᲐᲕᲔᲗ.

ᲛᲣᲪᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲗ

ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲥᲘᲗ ᲓᲐ ᲥᲣᲡᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲯᲔᲥᲘᲗ. ᲐᲡᲔ ᲩᲐᲘᲡᲣᲜᲗᲥᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲪᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝᲡᲐᲕᲘᲗ ᲓᲐᲒᲛᲠᲒᲕᲐᲚᲓᲔᲗ, ᲗᲐᲜ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲗᲔᲗ.

ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ 4-5 ᲬᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲗ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲝᲘᲡᲣᲜᲗᲥᲔᲗ, ᲛᲣᲪᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲚ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲔᲡ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲗ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბამოსანა

შეხე, ურქო და უკუდო
კამეჩი მოდის ცაღად,
მიწას ბეღტებად აბრუნებს,
შესწევს დევგმირის ძაღა.
მერე მინდვრიდან ბუბუნით
თავის ფაცხაში მივა,
ნავთია მისი საგზაღი,
არ ჰამს ბზესა და თივას.

ზოთა ამირანაშვილი

რომელი ქალაქია?!

ბავშვებო, დაწერეთ ოთხი სიტყვა: თემი, ქარი, ზაქი და ჯარა. თითოეულ სიტყვაში შეცვალეთ თითო ასო, ისე, რომ მიიღოთ სხვა სიტყვა.

შეცვლილი ოთხი ასოსაგან შეადგინეთ საქართველოს ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდება.

პასუხი № 2-ში დაბეჭდილ კროსვორდზე

თარაზულად: 1. ივანე, 2. რვეული, 3. ისლი.

შვეულად: 1. სვავი; 2. სნეული; 3. ეტლი.

მზე ჩვენი მეგობარია

მიხეილ ფილდელი

მზემ ყინვას ხელი დარია,
თოვლი ცრემლებად იღვრება,
თბილი, მზიანი დარია,
გამოიღვიძეს მინდვრებმა.
გამოიღვიძეს ბაღებმა,
თვალებს ახელენ კვირტები,
მდელოზე წყარო ამღერდა,
ბუდეს მართავენ ჩიტები.
ცაში გაისმა ქუხილი,
გამოიღვიძეს დათვებმაც,
გათავდა ზამთრის წუხილი,
გაზაფხულის დღე გათენდა.
აბიბინდება ნახნავი,
მტკვარი გასძახებს ალაზანს.
პაპამ აიღო სასხლავი,
ვენახი გაალამაზა.

მზემ გაალვიძა ბუნება,
რა მშვენიერი დარია!
სხივებით გვესალბუნება,
მზე ჩვენი მეგობარია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბელადილი

ავსტრალიელი ბავშვების ამ თამაშისათვის სულაც არ არის აუცილებელი ყვავილნარი. საჭიროა მხოლოდ რაიმე ფანჩატური ან ფარდული. თამაშობს ორი ბავშვი. ერთი ჩოგნით ბურთს ფარდულის სახურავზე აგდებს. როცა ბურთი უკან ჩამოგორდება, მეორემ უნდა მოასწროს და სახურავზე ააგდოს; ბურთი მიწაზე არ უნდა დავარდეს.

ბოთლის თოჯინა

ბოთლზე ჩამოსაცმელი თოჯინა მაგიდის ლამაზი მოსართავია. აბა წარმოიდგინე რა კარგი იქნება, მუქმწვანე, უბრალო ბოთლის მაგივრად მაგიდაზე მოკლეკაბიანი თოჯინა იჯდეს.

ამოჭერი ნახატზე ნაჩვენები ნაწილები, სახელოები თავის ადგილას დააწებე (ერთი წვეთი წებოთი), თარგსაც თეთრ ნაწიბურზე წებო წაუსვი, მოამრგვალე და დააწებე; გამზადებული კაბა ბოთლს ჩამოაცვი. ახლა აიღე თოჯინის სახე, უკან თმა მიაწებე. თავს კისერი ფრთხილად მოუღუნე და კისრის ჭრილში (ესე იგი ბოთლის ყელში) ჩასვი—იგი საცობის მაგივრობას გასწევს.

თოჯინა მზად არის. მაგრამ შენ შეგიძლია ამ თარგის მიხედვით სხვა თოჯინებიც გაამზადო და ააწყო. თარგი შენი გემოვნებით მოხატე ან გააფერადე (შეგიძლია დახატო ქართული კაბა, ან თუ დღევანდელ ჟურნალში მოცემული კაბის ფერი არ მოგწონს, სხვაფრად გააფერადო; გარდა ამისა, თოჯინას შეგიძლია სხვანაირი სახე დაუხატო, სხვა ფერის თვალები ან თმა გაუკეთო).

გააკეთეთ ბოთლის თოჯინები და გრაფინის ნაცვლად ასეთი ბოთლებით დადგით მაგიდაზე სასმელი.

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის

გამოცემის 54-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

ყდაზე ნახატი ზაურ დეისაძისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამგოკაძე, ილია ანთელავა, კუკური გოგიაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ მდივანი), მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე, მერი ფიკლაური, გივი ჭიჭინაძე.

ტექრედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 19/I-81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/II-81 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 170.600. შეკვ. № 169. „Дила“ № 3. журнал для младшеклассников. на грузинском языке. Тбилиси, ул. Ленина, 14.

6. 19/60

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა